**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა**

**G E O R G I A**

**THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY**

განკარგულება:**g-135. 135223342**

თარიღი:**30/11/2022**

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

**„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის და მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 ნოემბრის N 134-1342232657 მომართვის საფუძველზე**

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:**

1.მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზარდულ თვითმმართველობას მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა მესტიაში სეტის მოედანი N1-ში (ს/კ: 42.06.40.027) მდებარე 15 კვ.მ ფართი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ორი წლის ვადით.
2.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **( მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12**).

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი